კავკასიის უნივერსიტეტი
კავკასიის სამართლის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	Law
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	მაგისტრატურა
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	რეგულირებადი
სწავლების ენა	**ქართული**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი	0421
ქართულად:	I ნაწილი - სამართლის მაგისტრი II ნაწილი - კვლევის მაგისტრი სამართალში
ინგლისურად:	Part I – Master of Law Part II - Master of Research in Law
პროგრამის დამტკიცების თარიღი	07.08.2009
პროგრამის განახლების თარიღი	29.06.2026, N01/01-68
პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი	ლევან მოსახლიშვილი, კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება ორი ნაწილისგან, რომელთაგან თითოეულის მოცულობა შეადგენს 60 ECTS კრედიტს, ჯამურად 120 ECTS კრედიტს. სტუდენტის წლიური სასწავლო დატვირთვა, როგორც წესი, შეადგენს 60 ECTS კრედიტს და არ უნდა აღემატებოდეს 75 ECTS კრედიტს, შესაბამისად სამაგისტრო პროგრამის თითოეული ნაწილის ხანგრძლივობა შეადგენს 1 აკადემიურ წელს. ერთი ECTS კრედიტი უდრის 25 საათს და მოიცავს როგორც მაგისტრანტის საკონტაქტო დატვირთვას (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს. სამართლის სკოლის მაგისტრატურაში სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით, სადაც პირველი (შემოდგომის) და მეორე (გაზაფხულის) სემესტრი მოიცავს 19 კალენდარულ კვირას, შესაბამისად, სასწავლო წელი დაგეგმილია 38 კვირაზე.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მიუხედავად მისი ორი თანმიმდევრული 60 ECTS-იანი ნაწილისგან შემდგარი სტრუქტურისა, წარმოადგენს ერთიან საგანმანათლებლო პროგრამას და ეფუძნება სწავლის შედეგებზე დაფუძნებულ მიდგომას, რაც უზრუნველყოფს კომპეტენციების ეტაპობრივ, ლოგიკურ და ურთიერთდაკავშირებულ განვითარებას პროგრამის მთელ მოცულობაში.

პროგრამის პირველი 60 კრედიტიანი ნაწილი ორიენტირებულია სამართლის ერთ ან რამდენიმე სფეროში სპეციალიზაციაზე, პროფესიული და პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებაზე, აგრეთვე სამართლებრივი პრობლემების ანალიზისა და გადაწყვეტის უნარის ჩამოყალიბებაზე. აღნიშნული ნაწილი მოიცავს თეორიულ სასწავლო კურსებს (სავალდებულო და არჩევითი), პრაქტიკულ კომპონენტებს (შემთხვევის ანალიზი (case study), იმიტირებული სასამართლო პროცესები, კლინიკური სწავლება და სხვა) და პროფესიული ეთიკის პრინციპების პრაქტიკულ გამოყენებაზე, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და იურიდიული არგუმენტაციის განვითარებაზე მიმართულ აქტივობებს.

პროგრამის მეორე 60 კრედიტიანი ნაწილი მოიცავს პირველი ნაწილის ფარგლებში განვითარებულ კომპეტენციებს და ორიენტირებულია სიღრმისეული თეორიული და ანალიტიკური ცოდნის განვითარებაზე, კვლევითი კომპეტენციების გაძლიერებაზე და კომპლექსური სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად ანალიზსა და გადაწყვეტაზე. იგი მოიცავს კვლევის მეთოდოლოგიისა და

აკადემიური წერის განვითარებას, სპეციალიზაციის შემდგომ გაღრმავებას, აგრეთვე კვლევით კომპონენტს — სამაგისტრო ნაშრომს (30 ECTS კრედიტი), რომელიც ეფუძნება დამოუკიდებელ კვლევას და აკმაყოფილებს აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტებს.
სამაგისტრო პროგრამის ოპტიმალური ვადის (2 წელი) დასრულების შემდეგ, თეორიული, პრაქტიკული ან/და კვლევითი კომპონენტების სრულად აუთვისებლობის შემთხვევაში, მაგისტრანტს უფლება აქვს სწავლა დაასრულოს დამატებით ვადაში.
<u>პროგრამის პირველი ნაწილის სტანდარტული ვადის (ერთი წელი) ამოწურვის შემდეგ სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს ორი სემეტრისა (ერთი აკადემიური წელი) განმავლობაში, ხოლო პროგრამის მეორე ნაწილის სტანდარტული ვადის (ერთი წელი) ამოწურვის შემდეგ კი არაუმეტეს 4 სემესტრისა (ორი აკადემიური წელი), სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.</u>
დამატებითი სემესტრების განმავლობაში სტუდენტს უნარჩუნდება სტატუსი, ხოლო სწავლის საფასური განისაზღვრება ასათვისებელი კრედიტების რაოდენობის შესაბამისად, პროგრამისათვის დადგენილი წლიური გადასახადის პროპორციულად.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

I. სამართლის სამაგისტრო პროგრამის პირველ ნაწილზე ჩარიცხვა

სამართლის სამაგისტრო პროგრამის პირველ ნაწილზე ჩარიცხვის წინაპირობებია:

- სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობა;
- სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება;
- ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დადასტურება;
- კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მიერ ორგანიზებული გამოცდის ან/და გასაუბრების წარმატებით გავლა.

ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა დასტურდება შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატით (IELTS — არანაკლებ 6.0 ქულა; TOEFL — არანაკლებ 78 ქულა; ან B2 დონის სხვა შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი). სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინგლისური ენის შიდა გამოცდის ჩატარებას, რომელიც ამოწმებს აპლიკანტის მიერ ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობას და მოიცავს კითხვის, წერისა და ენობრივი კომპეტენციის შესაბამის დავალებებს.
აპლიკანტი ინგლისური ენის შიდა გამოცდისაგან თავისუფლდება, თუ მას ინგლისურ ენაზე გავლილი აქვს საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ან აკმაყოფილებს უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა შესაბამის პირობას.
უცხოეთში მიღებული განათლების მქონე პირის პროგრამაზე დაშვება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

II. II. სამართლის სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილზე სწავლის გაგრძელება ან ჩარიცხვა

სამართლის სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილზე სწავლის გაგრძელების ან ჩარიცხვის წინაპირობებია:

- პროგრამის პირველი ნაწილის დასრულება და შესაბამისი 60 ECTS კრედიტის დაგროვება;
- ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დადასტურება;
- კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სამაგისტრო მიმღებ კომისიასთან სპეციალობაში გასაუბრების წარმატებით გავლა.

ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა დასტურდება შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატით (IELTS — არანაკლებ 6.0 ქულა; TOEFL — არანაკლებ 78 ქულა; ან B2 დონის სხვა შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი) ან უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული ინგლისური ენის შიდა გამოცდის წარმატებით ჩაბარებით. პირი ინგლისური ენის შიდა გამოცდისაგან თავისუფლდება, თუ ენის ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი ან უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოცდის შედეგი უნივერსიტეტისათვის უკვე ხელმისაწვდომია ან იგი აკმაყოფილებს უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა შესაბამის პირობას.

არანაკლებ 120-კრედიტიანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველ ნაწილზე საერთო სამაგისტრო გამოცდისა და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის ან/და გასაუბრების

საფუძველზე ჩარიცხული პირი, რომელიც კავკასიის უნივერსიტეტში დაასრულებს აღნიშნული პროგრამის 60 კრედიტის მოცულობის პირველ ნაწილს, უფლებამოსილია საერთო სამაგისტრო გამოცდის განმეორებით ჩაბარების გარეშე გააგრძელოს სწავლა იმავე პროგრამის 60 კრედიტის მოცულობის მეორე ნაწილზე, თუ პროგრამის პირველ ნაწილზე მისი ჩარიცხვიდან არ გასულა 5 წელი და იგი აკმაყოფილებს პროგრამის მეორე ნაწილზე სწავლის გაგრძელების სხვა წინაპირობებს.

აღნიშნული ხუთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ იმავე არანაკლებ 120-კრედიტიანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 60 კრედიტის მოცულობის მეორე ნაწილზე სწავლის გაგრძელების მსურველი ვალდებულია ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა და დააკმაყოფილოს პროგრამის მეორე ნაწილზე დაშვების სხვა წინაპირობები.

პირი, რომელმაც სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაასრულა იმავე არანაკლებ 120-კრედიტიანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 60 კრედიტის მოცულობის პირველი ნაწილი და კავკასიის უნივერსიტეტში ამ პროგრამის 60 კრედიტის მოცულობის მეორე ნაწილზე ჩარიცხვა სურს, ვალდებულია ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა და დააკმაყოფილოს პროგრამის მეორე ნაწილზე დაშვების სხვა წინაპირობები.

პროგრამის მეორე ნაწილზე პირის ჩარიცხვა და მის მიერ უცხოეთში ან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლებისა და დაგროვებული კრედიტების აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებისა და კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მაგისტრატურის დებულების შესაბამისად.

<table>
<tr><th colspan="2">პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება</th></tr>
<tr><td>**პროგრამის მიზანი**</td><td>
პროგრამის ნაწილი I (60 ECTS) – სამართლის მაგისტრი

პროგრამის პირველი ნაწილის მიზანია:
• სამართლის ერთ ან რამდენიმე სფეროში სიღრმისეული ცოდნისა და სპეციალიზაციის განვითარება, თანამედროვე სამართლებრივი ტენდენციებისა და სასამართლო პრაქტიკის გააზრება;
• პროფესიული და პრაქტიკული კომპეტენციების განვითარება, სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, ანალიზისა და დასაბუთებული გადაწყვეტის უნარის გაძლიერება;
• სამართლებრივი ინფორმაციის მოძიების, კრიტიკული შეფასებისა და ეფექტიანი გამოყენების უნარის განვითარება ეროვნულ, საერთაშორისო და ევროპულ სამართლებრივ კონტექსტში;
• სტუდენტების მომზადება სამართლის სფეროში პროფესიული საქმიანობისთვის პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად.

პროგრამის ნაწილი II (60 ECTS) – კვლევის მაგისტრი სამართალში

პროგრამის მეორე ნაწილის მიზანია:
• სამართლის სფეროში სიღრმისეული თეორიული, ანალიტიკური და კვლევითი ცოდნის განვითარება;
• სამართლებრივი კვლევის მეთოდოლოგიის, აკადემიური წერისა და დამოუკიდებელი სამართლებრივი კვლევის განხორციელების კომპეტენციების ჩამოყალიბება;
• კომპლექსური სამართლებრივი პრობლემების კრიტიკული ანალიზისა და თანამედროვე მეცნიერული მიდგომების გამოყენების უნარის განვითარება;
• სტუდენტების მომზადება დამოუკიდებელი კვლევითი და აკადემიური საქმიანობისთვის, სამართლის განვითარებისა და სრულყოფის პროცესში მონაწილეობის მიზნით.
</td></tr>
<tr><td>**პროგრამის სწავლის შედეგები**</td><td>
სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი არჩეული მოდულის მიხედვით:

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები
სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი, არჩეული მოდულის მიხედვით, აღწევს შემდეგ სწავლის შედეგებს:
I ნაწილი – 60 ECTS კრედიტი:

A – ცოდნა და გაცნობიერება
A.1. სისტემურად და კრიტიკულად განმარტავს კერძო, სისხლის, საჯარო ან საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებული სამართლებრივი ინსტიტუტებისა და ურთიერთობების თეორიულ, დოგმატურ და პრაქტიკულ თავისებურებებს შედარებითსამართლებრივ კონტექსტში; კრიტიკულად განიხილავს სამართლებრივი პრობლემების წარმოშობის მიზეზებს, მათი გადაწყვეტის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, დოქტრინისა და სამოსამართლო სამართლის განვითარების ადგილობრივ და საერთაშორისო ტენდენციებს.
A.2. ახასიათებს საერთაშორისო სამართლის, ევროკავშირის სამართლისა და შედარებითსამართლებრივი მიდგომების გავლენას ეროვნული სამართლის განვითარებასა და სამართლებრივი პრაქტიკის ფორმირებაზე.

B – უნარი
B.1. აანალიზებს კომპლექსურ თეორიულ და პრაქტიკულ სამართლებრივ პრობლემებს, მათ შორის არასრული ან წინააღმდეგობრივი ინფორმაციის პირობებში, აყალიბებს მათი გადაწყვეტის დასაბუთებულ გზებს და წარმოადგენს
</td></tr>
</table>

	შესაბამის სამართლებრივ არგუმენტებს წერილობითი და ზეპირი ფორმით. B.2. იყენებს სამართლებრივი ანალიზის თანამედროვე მეთოდებს, მოიძიებს, ამუშავებს, კრიტიკულად აფასებს და სინთეზურად აერთიანებს სამართლებრივ და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რის საფუძველზეც აყალიბებს დასაბუთებულ სამართლებრივ დასკვნებს. **C – პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** C.1. დამოუკიდებლად მოიძიებს, აანალიზებს და იყენებს ახალ სამართლებრივ ინფორმაციას, დოქტრინულ წყაროებსა და სასამართლო პრაქტიკას პროფესიული საქმიანობისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით. C.2. პროფესიული ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით ახორციელებს პროფესიულ საქმიანობას. **II ნაწილი – 60 ECTS კრედიტი** მოიცავს I ნაწილის ფარგლებში მიღწეულ სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ შემდგომ განვითარებას სიღრმისეული თეორიული ცოდნისა და კვლევითი კომპეტენციების გაძლიერების გზით. აღნიშნულის საფუძველზე კურსდამთავრებული ავლენს შემდეგ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობას: **D – ცოდნა და გაცნობიერება** D.1. სისტემურად და კრიტიკულად განმარტავს სამართლის შესაბამისი სფეროს თანამედროვე განვითარების ტენდენციებს, დოქტრინისა და სამოსამართლო სამართლის ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკას. D.2. სიღრმისეულად ხსნის სამართლის სფეროში არსებულ კომპლექსურ თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემებს, კრიტიკულად განიხილავს მათთან დაკავშირებულ სამართლებრივ მიდგომებს, თანამედროვე მეცნიერულ შეხედულებებსა და სამართლის განვითარების მიმართულებებს. D.3. განმარტავს სამართლებრივი კვლევის თანამედროვე მეთოდებს, მათ თეორიულ საფუძვლებს, მნიშვნელობასა და როლს აკადემიური და პრაქტიკული სამართლებრივი კვლევის განხორციელების პროცესში. **E – უნარი** E.1. დამოუკიდებლად ახორციელებს ორიგინალურ სამართლებრივ კვლევას, აყალიბებს კვლევით კითხვებს, ირჩევს და იყენებს შესაბამის მეთოდოლოგიას, აანალიზებს მიღებულ შედეგებს და წარმოადგენს დასაბუთებულ სამართლებრივ დასკვნებს. E.2. აანალიზებს კომპლექსურ და ინტერდისციპლინურ სამართლებრივ პრობლემებს, იყენებს შესაბამის კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებს და შეიმუშავებს დასაბუთებულ სამართლებრივ დასკვნებსა და რეკომენდაციებს. E.3. აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვით აყალიბებს, ასაბუთებს და წარადგენს სამართლებრივ პოზიციას პროფესიული და აკადემიური აუდიტორიის წინაშე. **F – პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** F.1. ახორციელებს პროფესიულ საქმიანობას კომპლექსურ და ცვალებად სამართლებრივ გარემოში, დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს და იყენებს სტრატეგიულ და ინოვაციურ მიდგომებს. F.2. პროფესიული ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით დამოუკიდებლად ახორციელებს პროფესიულ და კვლევით საქმიანობას, თანამედროვე სამართლებრივი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენებით. F.3. იღებს პასუხისმგებლობას საკუთარი და სხვების პროფესიულ საქმიანობაზე,

	იცავს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პროფესიული ეთიკის პრინციპებს და უზრუნველყოფს უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.
დასაქმების სფეროები	სამართლის მაგისტრს შესაძლებლობა აქვს დასაქმდეს საჯარო, კერძო და საერთაშორისო სექტორში ისეთ პოზიციებზე, სადაც მოითხოვება სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და საქართველოს კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული დამატებითი საკვალიფიკაციო ან სასერტიფიკაციო მოთხოვნები. სამართლის მაგისტრს შეუძლია განახორციელოს კომპლექსური სამართლებრივი საკითხების ანალიზზე, სამართლებრივ კონსულტირებასა და გადაწყვეტილებების მიღებაზე ორიენტირებული პროფესიული საქმიანობა, აგრეთვე დამოუკიდებელი აკადემიური და კვლევითი საქმიანობა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. პროგრამის მეორე 60-კრედიტიანი ნაწილის დასრულებისა და „კვლევის მაგისტრი სამართალში“ კვალიფიკაციის მიღების შემდეგ კურსდამთავრებულს, გარდა ზემოაღნიშნული პროფესიული საქმიანობისა, შეუძლია განახორციელოს დამოუკიდებელი აკადემიური და კვლევითი საქმიანობა, დასაქმდეს უმაღლეს საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებში, კვლევით და ანალიტიკურ ცენტრებში, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სამართლებრივი პოლიტიკის ანალიზისა და განვითარების მიმართულებით მომუშავე ინსტიტუციებში.
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	პროგრამის პირველი 60 ECTS კრედიტიანი ნაწილის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს, რომელსაც ენიჭება კვალიფიკაცია — „სამართლის მაგისტრი“, უფლება აქვს სწავლა განაგრძოს ამავე ან ანალოგიური პროგრამის მეორე ნაწილზე. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე ნაწილის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს სამართლის სადოქტორო პროგრამაზე ან სხვა მიმართულების სადოქტორო პროგრამაზე, შესაბამისი პროგრამით დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის მიღწეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტიანი და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. სტუდენტთა შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა, გამჭვირვალობა.

სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს.

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული

სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.
სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთათვისაც შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე კომპონენტში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების მეთოდები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 70 ქულას. შეფასების თითოეული მეთოდისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 60%.
სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.
საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის ან შეფასების რომელიმე კომპონენტში (შუალედური/დასკვნითი) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 ქულა.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით. ერთიანი დასკვნითი შეფასება შედგება სამაგისტრო ნაშრომის წერილობითი ნაწილისა და საჯარო დაცვის შეფასებებისაგან. სამაგისტრო ნაშრომის წერილობით ნაწილს რეცენზენტი აფასებს მაქსიმუმ 40 ქულით, ხოლო საჯარო დაცვას დაცვის კომისია — მაქსიმუმ 60 ქულით. სამაგისტრო ნაშრომის ერთიანი დასკვნითი შეფასება განისაზღვრება წერილობითი ნაწილისა და საჯარო დაცვის შეფასებების დაჯამებით.
რეცენზენტი სამაგისტრო ნაშრომის წერილობით ნაწილს მაქსიმუმ 40 ქულის ფარგლებში აფასებს შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:
ა) საკვლევი პრობლემის აქტუალურობა, კვლევის მიზნისა და ძირითადი საკითხების მკაფიოდ ჩამოყალიბება — 5 ქულა;
ბ) კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისობა და მისი გამოყენების დასაბუთება — 5 ქულა;
გ) ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი, სამეცნიერო და სხვა შესაბამისი წყაროების მოძიება, შერჩევა და სათანადოდ გამოყენება — 10 ქულა;
დ) საკითხის სიღრმისეული და კრიტიკული ანალიზი, არგუმენტაციის თანმიმდევრულობა და ავტორის დამოუკიდებელი პოზიციის დასაბუთება — 10 ქულა;
ე) კვლევის შედეგების, დასკვნებისა და რეკომენდაციების დასაბუთებულობა და მათი შესაბამისობა კვლევის მიზანთან — 5 ქულა;
ვ) აკადემიური წერის, პროფესიული ტერმინოლოგიის, ციტირებისა და ტექნიკური გაფორმების წესების დაცვა — 5 ქულა.
რეცენზენტი საჯარო დაცვამდე ამზადებს წერილობით დასკვნას, რომელშიც ასახავს სამაგისტრო ნაშრომის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, შენიშვნებსა და რეკომენდაციებს. რეცენზენტის დასკვნაში სამაგისტრო ნაშრომის წერილობითი ნაწილის ქულა არ მიეთითება.
საჯარო დაცვის დასრულების შემდეგ რეცენზენტი ზემოაღნიშნული კრიტერიუმების საფუძველზე აფასებს სამაგისტრო ნაშრომის წერილობით ნაწილს. თითოეული კრიტერიუმის მიხედვით მინიჭებულ ქულასა და წერილობითი ნაწილის ჯამურ შეფასებას რეცენზენტი ასახავს შესაბამისი შეფასების ფორმაში.
დაცვის კომისიის თითოეული წევრი სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვას მაქსიმუმ 60 ქულის ფარგლებში აფასებს შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:
ა) კვლევის მიზნის, საკვლევი პრობლემისა და ძირითადი საკითხების მკაფიოდ წარმოდგენა — 10 ქულა;
ბ) კვლევის მეთოდოლოგიისა და გამოყენებული წყაროების შერჩევის დასაბუთება — 10 ქულა;
გ) კვლევის ძირითადი შედეგების, დასკვნებისა და რეკომენდაციების თანმიმდევრულად და დამაჯერებლად წარმოდგენა — 15 ქულა;
დ) დაცვის კომისიის წევრების მიერ დასმულ კითხვებზე დასაბუთებული და სრულყოფილი პასუხების გაცემა

— 15 ქულა;
ე) არგუმენტაციის, პროფესიული ტერმინოლოგიისა და აკადემიური კომუნიკაციის სათანადო დონე — 5 ქულა;
ვ) პრეზენტაციის ორგანიზება, დროის მართვა და თვალსაჩინო მასალის ეფექტიანად გამოყენება — 5 ქულა.
საჯარო დაცვის შეფასება განისაზღვრება დაცვის კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულით. რეცენზენტი საჯარო დაცვის შეფასებაში მონაწილეობას არ იღებს.
სამაგისტრო ნაშრომის ერთიანი დასკვნითი შეფასება გამოიხატება შემდეგი სისტემით:
ა) (A) ფრიადი — 91–100 ქულა;
ბ) (B) ძალიან კარგი — 81–90 ქულა;
გ) (C) კარგი — 71–80 ქულა;
დ) (D) დამაკმაყოფილებელი — 61–70 ქულა;
ე) (E) საკმარისი — 51–60 ქულა;
ვ) (FX) ვერ ჩააბარა — 41–50 ქულა;
ზ) (F) ჩაიჭრა — 40 ქულა და ნაკლები.
სამაგისტრო ნაშრომი წარმატებით შესრულებულად და დაცულად ითვლება, თუ მაგისტრანტის ერთიანი დასკვნითი შეფასება შეადგენს არანაკლებ 60 ქულას. შეფასების საერთო სისტემით განსაზღვრული დიაპაზონის მიუხედავად, 51–59 ქულის მიღების შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომი დაცულად არ მიიჩნევა, რადგან მაგისტრანტი ვერ აკმაყოფილებს სამაგისტრო ნაშრომისათვის დადგენილ მინიმალურ ზღვარს.
საჯარო დაცვის დასრულების შემდეგ დაცვის კომისია დახურულ დასკვნით სხდომაზე აჯამებს კომისიის წევრების მიერ მინიჭებულ ქულებს და განსაზღვრავს საჯარო დაცვის შეფასებას. ამავე ეტაპზე რეცენზენტი წარადგენს სამაგისტრო ნაშრომის წერილობითი ნაწილის შეფასებას. სამაგისტრო ნაშრომის ერთიან დასკვნით შეფასებას წერილობითი ნაწილისა და საჯარო დაცვის შეფასებების დაჯამებით გამოითვლის და აცხადებს სამართლის სკოლის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი.
თუ მაგისტრანტის ერთიანი დასკვნითი შეფასება შეადგენს 41–59 ქულას, მას უფლება აქვს, გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, უნივერსიტეტში დადგენილი წესით.
სამაგისტრო ნაშრომის 40 ქულით ან ნაკლები ქულით შეფასების — (F) „ჩაიჭრა“ — შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იმავე სამაგისტრო ნაშრომის ხელახლა წარდგენის უფლებას. ასეთ შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება აქვს, შეფასების შედეგის გამოცხადებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში სამართლის სკოლის დეკანს წარუდგინოს განცხადება ახალი სამაგისტრო თემის დამტკიცების მოთხოვნით. დეკანის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მაგისტრანტი შესაბამის სემესტრში ხელახლა რეგისტრირდება სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტზე, სამაგისტრო პროგრამის დებულებით განსაზღვრული პირობების დაცვით.
(F) „ჩაიჭრა“ შეფასების მიღების შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომის ერთი ეგზემპლარი, რეცენზენტის დასკვნა, რეცენზენტის შეფასების ფორმა და დაცვის კომისიის წევრების წერილობითი შეფასებები შესანახად გადაეცემა უნივერსიტეტის არქივს.
სამაგისტრო ნაშრომის დაცვის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის მდივანი და დაცვის კომისიის წევრები. ოქმში აისახება სამაგისტრო ნაშრომის წერილობითი ნაწილის შეფასება, საჯარო დაცვის შეფასება და ერთიანი დასკვნითი შეფასება. ოქმი ინახება მაგისტრანტის პირად საქმეში.
სტუდენტი უფლებამოსილია სამაგისტრო ნაშრომის შეფასება გაასაჩივროს შეფასების შედეგის ოფიციალურად, მათ შორის ელექტრონული ფორმით, გაცნობიდან 5 კალენდარული დღის ვადაში. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გასაჩივრება ხორციელდება სამართლის სკოლის სამაგისტრო პროგრამის დებულებით განსაზღვრული წესით.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი განსაზღვრავს სასწავლო კურსის მიზნების მიღწევისათვის აუცილებელ სწავლა-სწავლების მეთოდებსა და აქტივობებს, რომლებიც ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების, აქტიური ჩართულობისა და სწავლის შედეგებზე დაფუძნებული სწავლების პრინციპებს.
სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, სასწავლო კურსის შინაარსს, მიზნებსა და დაგეგმილ სწავლის შედეგებს. პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მიდგომები ორიენტირებულია არა მხოლოდ თეორიული ცოდნის შეძენაზე, არამედ პრაქტიკული, ანალიტიკური, კვლევითი, საკომუნიკაციო და პროფესიული უნარების განვითარებაზე.
სწავლა-სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სწავლის

შედეგების მიღწევას, ხოლო პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდების ერთობლიობა ხელს უწყობს სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლა-სწავლების პროცესი ასევე მიმართულია სტუდენტებში კრიტიკული აზროვნების, სამართლებრივი მსჯელობის, დამოუკიდებელი მუშაობის, გუნდური თანამშრომლობის, ეთიკური პასუხისმგებლობისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების უნარების ჩამოყალიბებისა და განვითარებისკენ.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების განხორციელებისას გამოიყენება სწავლა-სწავლების მრავალფეროვანი ფორმები, მათ შორის: ლექცია, სემინარი, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, იმიტირებული სასამართლო პროცესი, სიმულაციური აქტივობა, კლინიკური სწავლება, პრეზენტაცია, ელექტრონული სწავლება და სხვა.

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები და აქტივობები უზრუნველყოფს სტუდენტის აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში, თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გარემოში გამოყენებასა და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას.

- **ვერბალური/ზეპირსიტყვიერი მეთოდი** – ლექციის, ახსნა-განმარტებისა და აკადემიური მსჯელობის ფორმით სტუდენტისთვის თეორიული მასალის მიწოდება;
- **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – სამართლებრივი ცნებების, ინსტიტუტების, ნორმებისა და პრინციპების შინაარსის განმარტება, თეორიული და პრაქტიკული მაგალითების გამოყენებით;
- **დისკუსიისა და დებატების მეთოდი** – სამართლებრივ საკითხებზე სტუდენტთა ჩართულობის, კრიტიკული აზროვნების, სამართლებრივი მსჯელობისა და დასაბუთებული პოზიციის წარმოდგენის უნარის განვითარების მიზნით;
- **შემთხვევის ანალიზის მეთოდი** – კონკრეტული სამართლებრივი კაზუსების განხილვა, სამართლებრივი პრობლემის იდენტიფიცირება და შესაბამისი სამართლებრივი ნორმების გამოყენება;
- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი** – პრაქტიკული სამართლებრივი საკითხების ანალიზი, შეფასება და გადაწყვეტა;
- **სამართლებრივი ნორმების ინტერპრეტაციის მეთოდი** – სამართლებრივი ნორმების შინაარსის, მიზნისა და სისტემური კავშირის განმარტება და მათი პრაქტიკაში გამოყენების შეფასება;
- **სასამართლო პრაქტიკის ანალიზის მეთოდი** – ეროვნული და საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებების განხილვა და სამართლებრივი ნორმების პრაქტიკაში გამოყენების შეფასება;
- **შედარებით-სამართლებრივი ანალიზის მეთოდი** – სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების, ინსტიტუტებისა და სამართლებრივი მიდგომების შედარება და შეფასება;
- **ისტორიულ-სამართლებრივი ანალიზის მეთოდი** – სამართლებრივი ინსტიტუტების, წყაროებისა და სამართლის განვითარების ისტორიული საფუძვლების შესწავლა და ანალიზი;
- **კვლევითი მეთოდი** – სამართლებრივი პრობლემების შესწავლა, ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და ანალიზი;
- **წერითი მუშაობის მეთოდი** – კაზუსების, სამართლებრივი დასკვნების, ანალიტიკური ნაშრომების, მემორანდუმებისა და სხვა იურიდიული დოკუმენტების მომზადება;
- **პრეზენტაციის მეთოდი** – სამართლებრივი საკითხების ზეპირი წარმოდგენა, არგუმენტირებული მსჯელობა და დისკუსიაში მონაწილეობა;
- **თანამშრომლობითი (ჯგუფური) სწავლების მეთოდი** – სტუდენტთა ჯგუფური მუშაობა, სამართლებრივი საკითხების ერთობლივი განხილვა და არგუმენტირებული პოზიციების გაზიარება;
- **გონებრივი იერიშის მეთოდი** – კონკრეტულ სამართლებრივ საკითხთან ან პრობლემასთან დაკავშირებით იდეებისა და მოსაზრებების თავისუფალი გენერირება;
- **ლოგიკური ჯაჭვის მეთოდი** (მოსაზრება – მიზეზი – მაგალითი – შეჯამება) – არგუმენტირებული, თანმიმდევრული და ლოგიკური მსჯელობის განვითარების მიზნით;
- **როლური თამაშისა და სიმულაციური სწავლების მეთოდი** – პრაქტიკული სამართლებრივი სიტუაციების მოდელირება და პროფესიული უნარების განვითარება;
- **იმიტირებული სასამართლო პროცესის მეთოდი** – სასამართლო პროცესის სიმულაციის გზით სამართლებრივი არგუმენტაციის, ზეპირი გამოსვლისა და პროფესიული კომუნიკაციის უნარების განვითარება;
- **პროექტზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი** – ინდივიდუალური ან ჯგუფური სამართლებრივი პროექტების განხორციელება;
- **ელექტრონული სწავლების მეთოდი** – ელექტრონული სასწავლო რესურსების, სამართლებრივი მონაცემთა ბაზებისა და სასწავლო პლატფორმების გამოყენება;
- **დამოუკიდებელი მუშაობის მეთოდი** – კანონმდებლობის, სასამართლო პრაქტიკის, დოქტრინული

წყაროებისა და სხვა სასწავლო მასალის დამოუკიდებლად მოძიება, დამუშავება და ანალიზი.

პროგრამის სასწავლო კურსები

სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის აღწერა	სავალდებულო/ არჩევითი	ECTS კრედიტი	სწავლების სემესტრი
ბიზნეს დავების განხილვა და გადაწყვეტა სასამართლოში	კურსი მოიცავს ბიზნეს დავებთან დაკავშირებული საკითხების ანალიზს. სალექციო კურსის განმავლობაში განხილილი იქნება ბიზნეს დავის ინიციირებისა და გადაწყვეტის ფორმები და სფეციფიკა, მათ შორის სამეწარმეო ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავები, გადაზიდვის დავები, სალიზინგო ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავები, საერთაშორისო სავაჭრო ტერმინების - Incoterms (International Commercial Terms) გამოყენება ბიზნეს დავებში და სხვა აქტუალური საკითხები. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა პრაქტიკულ კომპონენტს, რა დროსაც სტუდენტები დაამუშავებენ და მოამზადებენ შესაბამის საპროცესო დოკუმენტებს. ასევე, კურსის მსვლელობისას განხილული და გაანალიზებული რელევანტური სასამართლო პრაქტიკა და იურიდული ლიტერატურა.	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	I
საერთაშორისო კომერციული დავების განხილვა და გადაწყვეტა მედიაციასა და არბიტრაჟში	სასწავლო კურსი მოიცავს საერთაშორისო კომერციული დავებების წარმოშობის, სამართლებრივი ბუნებისა და გადაწყვეტის მექანიზმების შესწავლას. კურსის ფარგლებში განხილული იქნება საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებებიდან, საჯარო და კერძო თანამშრომლობიდან (PPP), საერთაშორისო ნასყიდობიდან (CISG), ენერგეტიკის, ელექტრონული კომერციისა და სხვა კომერციული ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავებების სამართლებრივი თავისებურებები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი ნორმების, სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკის ანალიზს, ასევე საერთაშორისო კომერციულ დავებთან დაკავშირებული პრაქტიკული შემთხვევების შეფასებასა და სამართლებრივი გადაწყვეტილებების დასაბუთებას. კურსი აერთიანებს თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს, მათ შორის კაზუსების, საპროცესო დოკუმენტების მომზადებისა და იმიტირებული პროცესის გამოყენებით, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა ანალიტიკური, პრაქტიკული და პროფესიული უნარების განვითარებას.	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	II
საერთაშორისო ნასყიდობის სამართალი	კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან საერთაშორისო ნასყიდობის სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს, ინსტიტუტებს და კატეგორიებს “საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა შესახებ” გაეროს 1980 წლის კონვენციის (ვენის კონვენცია) ანალიზის, პრაქტიკული გამოყენების	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	II

	და ინტერპრეტაციის თავისებურებების საფუძველზე. კურსი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: ნასყიდობის ხელშეკრულების დადება, განმარტება, გამყიდველის და მყიდველის ვალდებულებები, რისკის გადასვლა, ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგები, ზიანის ანაზღაურება.			
უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება და ადამიანის უფლებები	უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს თანამედროვე ეპოქაში. გლობალიზაციის პირობებში, სადაც სულ უფრო იზრდება ისეთი სამართლებრივი დავების რიცხვი, რომელშიც უცხოური ელემენტი მონაწილეობს, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს სასამართლო გადაწყვეტილებების აღიარების და აღსრულებადობის უზრუნველყოფა ეროვნული სამართლებრივი სივრცის გარეთ. ყოველივე ეს ხელს უწყობს სამართლებრივ განსაზღვრულობას, ეკონომიკურ სტაბილურობას და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას. თუმცა, ცნობა-აღსრულების პროცესს თან ახლავს მრავალი სამართლებრივი გამოწვევა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ფუნდამენტური უფლებების დაცვას (მაგ. სამართლიანი სასამართლოს უფლება). იმისათვის, რომ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობამ არ გამოიწვიოს ადამიანის უფლებების დარღვევა აუცილებელია ბალანსის შენარჩუნება ერთის მხრივ, უცხო ქვეყნის სამართლებრივი სისტემის პატივისცემის და მეორეს მხრივ, სამართლიანობის უნივერსალურ პრინციპებს შორის. კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების ეროვნულ, საერთაშორისო და რეგიონულ სამართლებრივ მექანიზმებს, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გავლენას აღნიშნულ პროცესზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სამართლიანი სასამართლოს უფლების, პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის, დისკრიმინაციის აკრძალვისა და საკუთრების უფლების მნიშვნელობას უცხოური გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებაში. განხილული იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ევროკავშირის სასამართლოსა და საქართველოს სასამართლოების პრაქტიკა.	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	II
შედარებითი სახელშეკრულებო სამართალი	კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან სახელშეკრულებო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებსა და ინსტიტუტებს ნაციონალური სამართლის ფარგლებს მიღმა, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემების (კონტინენტური ევროპის და ანგლო-ამერიკული) კანონმდებლობის, კერძო სამართლის უნიფიკაციის უმნიშვნელოვანესი აქტების, ასევე სასამართლო	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	I

	პრაქტიკისა და დოქტრინის გაცნობისა და ანალიზის გზით. შედარებით სამართლებრივ ჭრილში გაანალიზებული იქნება სახელშეკრულებო სამართლის ისეთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტები, როგორიცაა: ხელშეკრულების დადება, განმარტება, სახელშეკრულებო თავისუფლება, ხელშეკრულების შესრულება, ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგები, წინასახელშეკრულებო ბრალი.			
საინვესტიციო სამართალი	სასწავლო კურსი მოიცავს საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის ძირითად პრინციპებს, ინსტიტუტებსა და სამართლებრივი რეგულირების მექანიზმებს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. კურსის ფარგლებში განიხილება საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის წყაროები, ინვესტორთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები, საერთაშორისო საინვესტიციო რეჟიმები, ინვესტიციებთან დაკავშირებული რისკები, აგრეთვე საინვესტიციო დავების გადაწყვეტის მექანიზმები და საერთაშორისო საარბიტრაჟო პრაქტიკა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებს, ICSID-ის სისტემას, ენერგეტიკის ქარტიის ხელშეკრულებასა და საინვესტიციო სამართლის აქტუალურ პრაქტიკულ საკითხებს.	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	II
საერთაშორისო სავაჭრო სამართალი	წინამდებარე კურსი სტუდენტებს აცნობს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის ძირითად ინსტიტუტებს, წყაროებსა და პრინციპებს, ასევე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) სამართლებრივ სისტემას და საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირების მექანიზმებს. კურსის ფარგლებში განიხილება GATT/WTO-ს სამართლებრივი ჩარჩო, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების ინსტიტუციური განვითარება, ტარიფებისა და არასატარიფო ბარიერების რეგულირება, სავაჭრო დავების გადაწყვეტის მექანიზმები, საერთაშორისო ხელშეკრულებების ურთიერთმიმართება და საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები. კურსი ასევე მოიცავს განვითარებადი ქვეყნების როლს მსოფლიო სავაჭრო სისტემაში, საქართველოსა და WTO-ს ურთიერთობებს, რეგიონული და მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებების მნიშვნელობას, აგრეთვე საერთაშორისო სავაჭრო სამართლის განვითარების თანამედროვე ტენდენციებს. სასწავლო კურსი სტუდენტს განუვითარებს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების ანალიზის, საერთაშორისო სამართლის წყაროების გამოყენებისა და დასაბუთებული სამართლებრივი პოზიციების ჩამოყალიბების უნარს.	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	II
შედარებითი კერძო სამართალი	სასწავლო კურსი შეისწავლის შედარებითი კერძო სამართლის არსს, მიზნებსა და მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, სამართლებრივი ოჯახების	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	I

	ჩამოყალიბებისა და განვითარების თავისებურებებს, აგრეთვე კონტინენტური ევროპისა და საერთო სამართლის სისტემების ძირითად მახასიათებლებს. კურსის ფარგლებში შედარებითსამართლებრივ ჭრილში განიხილება პიროვნული უფლებები, გარიგებები და ხელშეკრულებები, კანონისმიერი ვალდებულებები, სანივთო, მემკვიდრეობითი, საოჯახო და საკორპორაციო ურთიერთობები, ასევე კერძოსამართლებრივი დავების გადაწყვეტის სასამართლო და ალტერნატიული საშუალებები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში ჩამოყალიბებული მიდგომების შედარებას, მათი გავლენის შეფასებას ქართულ კერძო სამართალზე და თანამედროვე კერძოსამართლებრივი პრობლემების ანალიზს.			
შედარებითი კონკურენციის სამართალი	სასწავლო კურსი სტუდენტს აცნობს საქართველოსა და ევროკავშირის კონკურენციის სამართლის ძირითად ინსტიტუტებს, პრინციპებსა და აღსრულების მექანიზმებს. კურსის ფარგლებში განიხილება კონკურენციის სამართლის წყაროები, ეკონომიკური აგენტების კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, კონცენტრაციების კონტროლი, სახელმწიფო დახმარება, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია და სახელმწიფო ორგანოების მიერ კონკურენციის შეზღუდვის საკითხები. კურსი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საქართველოსა და ევროკავშირის კონკურენციის სამართლის ნორმების, სასამართლო და ადმინისტრაციული პრაქტიკის შედარებით ანალიზს. სასწავლო პროცესში სტუდენტები შეისწავლიან კონკურენციის სამართლის პრაქტიკაში გამოყენების თავისებურებებს, სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, სამართლებრივი ნორმების ინტერპრეტაციისა და დასაბუთებული სამართლებრივი დასკვნების ჩამოყალიბების მეთოდებს.	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	II
სახელშეკრულებო ვალდებულებები და სასამართლო პრაქტიკა	სასწავლო კურსის პროგრამა, პირობითად, შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად: პირველი შეეხება და აღრმავებს ვალდებულებითი სამართლის ზოგადი კურსის ფარგლებში მიღებულ ცოდნას ხელშეკრულებათა შესახებ ზოგადი დებულებების თაობაზე, რაც გამოიყენება ყველა ტიპის ხელშეკრულებისათვის ისევე, როგორც ატიპიური ხელშეკრულებების მიმართ; მეორე ნაწილი კონცენტრირდება კერძო ტიპის ყველაზე გავრცელებულ ხელშეკრულებებზე, რაც საშუალებას იძლევა სტუდენტმა სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე გაიაზროს და გაანალიზოს ბოლოდროინდელი ტენდენციები. ეს მიდგომა მართებული კვალიფიკაციის განხორციელებისთვის აუცილებელ	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	II

	წინაპირობათა უკეთესი გააზრების საშუალებას ქმნის. კურსის ორივე ნაწილი წარმოდგენილია შედარებით-სამართლებრივ ჭრილში. მისი მსვლელობისას განხილული და გაანალიზებული იქნება თითოეულ ინსტიტუტთან დაკავშირებული უცხოური და ადგილობრივი სასამართლო პრაქტიკა.			
თანამედროვე ადმინისტრაციული სამართალი და სასამართლო პრაქტიკა	სასწავლო კურსი სტუდენტს აცნობს თანამედროვე ადმინისტრაციული სამართლის განვითარების ძირითად მიმართულებებსა და საჯარო მმართველობის სამართლებრივ გამოწვევებს. კურსის ფარგლებში სიღრმისეულად განიხილება ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმები, ადმინისტრაციული წარმოება, ადმინისტრაციული აქტების აღსრულება, ადმინისტრაციული თვითკონტროლი და სამართლებრივი დაცვის მექანიზმები, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა და საჯარო ნივთების სამართლებრივი რეჟიმი. კურსი ასევე მოიცავს ტრანსნაციონალური ადმინისტრაციული სამართლის აქტუალურ საკითხებს და ქართული სამართლის ევროპულ და შედარებითსამართლებრივ კონტექსტში შეფასებას. თეორიული საკითხების შესწავლა ეფუძნება ეროვნული და ევროპული სასამართლო პრაქტიკის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კაზუსებისა და თანამედროვე სამეცნიერო მიდგომების კრიტიკულ ანალიზს.	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	I
შედარებითი კონსტიტუციონალიზმის თანამედროვე ტენდენციები	სასწავლო კურსი მოცავს კონსტიტუციონალიზმის ისეთ პრაქტიკულ საკითებს, როგორიცაა კონსტიტუციონალიზმისა და კონსტიტუციის ურთიერთმიმართება, კონსტიტუცია როგორც საზოგადო კომპრომისის ფიქსაცია, მისი მობილობა დროში, ადამიანისა და სახელმწიფოს ურთიერთობა და ამ ფარგლებში თანამედროვე სახელმწიფოს პრინციპები, დემოკრატიის ფორმებსა და მათი განხორციელების საშუალებებს, დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და პროცედურებს, ხელისუფლების ჰორიზონტალური და ვერტიკალური დანაწილების თანამედროვე ვარიაციები და ტენდენციები, ხელისუფლების განშტოებათა ლეგიტიმური ფორმირება, მიზნები, ფუნქციები, უფლებამოსილებები და მათ ურთიერთმიმართება.	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	II
ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმის წარმოება	სასწავლო კურსი მოიცავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ადგილს კონვენციის სისტემაში, მის კომპეტენციასა და საქმისწარმოების ძირითად ეტაპებს. კურსის ფარგლებში შეისწავლება ინდივიდუალური საჩივრის წარდგენის წესი, დასაშვებობის კრიტერიუმები, დროებითი ღონისძიებების გამოყენება, საქმის კომუნიკაცია, მორიგებით დასრულება, ცალმხრივი დეკლარაცია, სამართლიანი დაკმაყოფილება და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება. ყურადღება ეთმობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის კრიტიკულ ანალიზსა და ეროვნულ	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	II

	სამართალსა და სამართლებრივ პრაქტიკაზე მისი გავლენის შეფასებას. ჰიპოთეზური საქმეების განხილვის საფუძველზე სტუდენტები შეაფასებენ საჩივრის დასაშვებობის პერსპექტივას, გამოიყენებენ შესაბამის კონვენციურ ნორმებსა და სასამართლო პრაქტიკას და ჩამოაყალიბებენ დასაბუთებულ სამართლებრივ პოზიციას.			
ანტიკორუფციული სამართალი	სასწავლო კურსი შეისწავლის კორუფციის არსს, ფორმებს, გამომწვევ ფაქტორებსა და შედეგებს, აგრეთვე კორუფციასთან ბრძოლის ეროვნულ, საერთაშორისო და ევროპულ სამართლებრივ საფუძვლებს. კურსი მოიცავს საქართველოს ანტიკორუფციულ კანონმდებლობასა და ინსტიტუციურ სისტემას, კორუფციის პრევენციის პოლიტიკას, კორუფციული რისკების მართვას, სამართალდარღვევების გამოვლენასა და პასუხისმგებლობის საკითხებს. ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი წყაროებისა და პრაქტიკული შემთხვევების ანალიზის საფუძველზე სტუდენტი შეაფასებს ანტიკორუფციული მექანიზმების ეფექტიანობას და იმსჯელებს თანამედროვე გამოწვევებზე, მათ შორის ციფრულ ტექნოლოგიებთან, ხელოვნურ ინტელექტთან, ტრანსნაციონალურ და კორპორაციულ კორუფციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	II
ინფორმაციის თავისუფლება და მისი პრაქტიკული ასპექტები	სასწავლო კურსი მოიცავს ინფორმაციის თავისუფლების ეროვნულ და საერთაშორისო სამართლებრივ საფუძვლებს, საჯარო ინფორმაციის სახეებს, მისი მოთხოვნისა და გაცემის პროცედურას, ხელმისაწვდომობის პრინციპებსა და შეზღუდვის საფუძვლებს. კურსის ფარგლებში განიხილება პერსონალური მონაცემების დაცვა, სახელმწიფო, კომერციული, საგადასახადო და პროფესიული საიდუმლოება, აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული და ინტერამერიკული სასამართლოების პრაქტიკა. თეორიული და პრაქტიკული საკითხების შესწავლა სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს, მოამზადოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა, შეაფასოს ინფორმაციის გაცემის ან უარის კანონიერება და ჩამოაყალიბოს დასაბუთებული სამართლებრივი პოზიცია.	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	II
რეგულირების საფუძვლები	სასწავლო კურსი სტუდენტს აცნობს რეგულირების ეკონომიკურ, სოციალურ და ქცევით საფუძვლებს, რეგულირების ძირითად ფორმებსა და ინსტრუმენტებს. კურსის ფარგლებში განხილულია ბაზრის ჩავარდნები, ეკონომიკური და სოციალური რეგულირება, ქცევითი ეკონომიკის გავლენა რეგულირების პროცესზე, ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი, ex ante და ex post რეგულირების მექანიზმები და უკეთესი რეგულირების პრინციპები. კურსი ორიენტირებულია რეგულირების სფეროში არსებული სამართლებრივი და პოლიტიკის პრობლემების ანალიზზე, რეგულირების ალტერნატივების შეფასებასა და პრაქტიკული შემთხვევების გადაწყვეტაზე.	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	II

შრომის უსაფრთხოების ეროვნული და საერთაშორისო რეგულაციები	სასწავლო კურსი მოიცავს შრომის უსაფრთხოების ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების ძირითად საკითხებს. კურსის ფარგლებში განიხილება შრომის უსაფრთხოების სფეროში მოქმედი ეროვნული კანონმდებლობა, ტექნიკური რეგლამენტები, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სტანდარტები, ISO 45001-ის მოთხოვნები, რისკების შეფასების, ინციდენტების მოკვლევის, შრომითი უფლებების დაცვისა და უსაფრთხოების მართვის მექანიზმები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს, ევროკავშირისა და საერთაშორისო პრაქტიკის შედარებით ანალიზს, ასევე შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების პრაქტიკულ გამოყენებას.	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	II
თანამედროვე სისხლის სამართლის თეორია და სასამართლო პრაქტიკა	სასწავლო კურსი „თანამედროვე სისხლის სამართლის თეორია და სასამართლო პრაქტიკა“ მოიცავს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის თანამედროვე თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს, დანაშაულის ზოგადი მოძღვრების ინსტიტუტებს, საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზსა და სისხლის სამართლის მატერიალური ნაწილის განვითარების უახლეს ტენდენციებს. კურსის ფარგლებში განიხილება სისხლის სამართლის ფუნდამენტური პრინციპების, დანაშაულის სამწევროვანი სისტემის ძირითადი ინსტიტუტების, დანაშაულის განვითარების სტადიების, თანამონაწილეობის, დანაშაულთა სიმრავლისა და მათი ინტერპრეტაციის პრაქტიკული ასპექტები და თანამედროვე მიდგომები. სასწავლო კურსი ღრმად და სისტემურად მიმოიხილავს ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემურ საკითხებსა და შესაბამისი საკანონმდებლო მასალას, სისხლისსამართლებრივი ნორმების ანალიზის, მათი სწორად გამოყენებისა და განმარტების, სამართლებრივად სწორი გადაწყვეტილების გამოტანის, ნორმისადმი კრიტიკული დამოკიდებულების განხილვის გზით. სიღრმისეულად გაანალიზდება და შეფასდება საერთო და საკონსტიტუციო სასამართლეობის გადაწყვეტილებები.	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	I
აღდგენითი მართლმსაჯულება	სასწავლო კურსი სტუდენტს აცნობს აღდგენითი მართლმსაჯულების არსს, პრინციპებს, ისტორიულ განვითარებასა და თანამედროვე მოდელებს, აგრეთვე მის ადგილსა და მნიშვნელობას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში. კურსის ფარგლებში განიხილება აღდგენითი მართლმსაჯულების ეროვნული, ევროპული და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები; დაზარალებულისა და სამართალდამრღვევის საჭიროებები და ფსიქოლოგიური თავისებურებები; მედიაციის, განრიდებისა და სხვა აღდგენითი მექანიზმების არსი და გამოყენების წინაპირობები; მედიატორის როლი და პროფესიული სტანდარტები; აღდგენითი პროგრამების გამოყენება	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	II

	სისხლის სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე, მათ შორის მძიმე დანაშაულებთან მიმართებით. კურსი ასევე მოიცავს საქართველოში აღდგენითი მართლმსაჯულების სამართლებრივი რეგულირებისა და პრაქტიკული გამოცდილების განხილვას, კონკრეტული შემთხვევების ანალიზს, საზოგადოების ინფორმირებისა და მედიის როლის შეფასებას, აგრეთვე აღდგენითი პროგრამების მონიტორინგის, კვლევისა და შეფასების საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროცესში მონაწილე პირთა უფლებების, ინტერესებისა და ღირსების დაცვას, პროფესიული ეთიკის სტანდარტებს და საქართველოში აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარების პერსპექტივებს.			
სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვის პრობლემები	სასწავლო კურსი შეისწავლის სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპებზე წარმოშობილ აქტუალურ თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემებს. კურსი მოიცავს სასამართლო კონტროლს გამოძიების ეტაპზე, წინასასამართლო სხდომას, საქმის არსებით განხილვას, პროცესის მონაწილეთა სამართლებრივ მდგომარეობას, მტკიცებულებათა გამოკვლევას, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, საპროცესო შეთანხმებას, განაჩენის დადგენასა და მისი სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრებას, აგრეთვე ახლად გამოვლენილი გარემოებების გამო განაჩენის გადასინჯვას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საპროცესო ნორმების განმარტებასა და გამოყენებას, ეროვნული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის კრიტიკულ ანალიზსა და კომპლექსური საპროცესო პრობლემების გადაწყვეტას.	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	II
ორგანიზებული დანაშაული: სამართალშეფარდების პრობლემები	სასწავლო კურსი შეისწავლის ორგანიზებული დანაშაულის ძირითად ფორმებს, მათ სისხლისსამართლებრივ მახასიათებლებსა და ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში რეგულირების მექანიზმებს. კურსის ფარგლებში განიხილება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი საფუძვლები, ტრეფიკინგი, ტერორიზმი, კორუფცია, ფულის გათეთრება, ქურდული სამყარო და სხვა ორგანიზებული დანაშაულის ფორმები, მათი კვალიფიკაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასამართლო პრაქტიკის ანალიზს, პრაქტიკული შემთხვევების გადაწყვეტასა და თანამედროვე გამოწვევების შეფასებას.	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	II
ტურიზმის სისხლის სამართალი	„ტურიზმის სისხლის სამართალი“ არის ინტერდისციპლინური და ნოვატორული კურსი, რომელიც პირველად ჩამოყალიბდა ქართულ აკადემიურ სივრცეში და შექმნილია ქართველი და გერმანელი პროფესორების თანამშრომლობით. კურსი აერთიანებს იმ სისხლისსამართლებრივ დარღვევებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ტურისტულ ინდუსტრიას,	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	II

	და მათ ერთიან სამართლებრივ ჩარჩოში განიხილავს. კურსი მოიცავს როგორც სისხლისსამართლებრივ, ისე სოციო-კულტურულ, კრიმინოლოგიურ და ვიქტიმოლოგიურ ასპექტებს, თემების ანალიზს კი ახორციელებს გერმანული, ქართული და საერთაშორისო სამართლის პერსპექტივიდან. განხილული საკითხებია: ტურიზმის კონტრესტში ჩადენილი დანაშაულები, იურისდიქციის გამოყენების გარემოებები, ტურსიტებსა და მასპინძელი სახელმწიფოს შორის წარმოშობილი სამართლებრივი პრობლემები, ტურისტების მიმართ და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულების რეგულირება, და ტურისტულ დანაშაულთან დაკავშირებული კრიმინოლოგიური და ვიქტიმოლოგიური რისკები. კურსი ასევე კრიტიკულად აანალიზებს პრობლემურ რეგულაციებს და სთავაზობს მათ სრულყოფის რეკომენდაციებს.			
ეკონომიკური დანაშაული	სასწავლო კურსი „ეკონომიკური დანაშაული“ მოიცავს ეკონომიკური დანაშაულის თანამედროვე დოქტრინულ, კრიმინოლოგიურ და სისხლისსამართლებრივ ასპექტებს. კურსის ფარგლებში განიხილება კორპორაციული და ფინანსური თაღლითობა, ფულის გათეთრება, საგადასახადო და კიბერდანაშაულები, კომერციული მოსყიდვა, იურიდიული პირის პასუხისმგებლობა, საერთაშორისო სანქციების დარღვევა და გვერდის ავლა, აგრეთვე სხვა თანამედროვე გამოწვევები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეროვნული, საერთაშორისო და ევროპული სამართლებრივი წყაროებისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზს, ქმედების კვალიფიკაციასა და დასაბუთებული სამართლებრივი პოზიციის ჩამოყალიბებას.	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	II
ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება	სასწავლო კურსი ინტერდისციპლინურია და შეისწავლის ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის არსს, ფორმებს, გამომწვევ ფაქტორებსა და შედეგებს, აგრეთვე მათი პრევენციისა და სამართლებრივი რეაგირების ეროვნულ, საერთაშორისო და ევროპულ მექანიზმებს. კურსის ფარგლებში განიხილება ქალთა უფლებების ისტორიული განვითარება, თანასწორობისა და არადისკრიმინაციის პრინციპები, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები, CEDAW-ისა და სტამბოლის კონვენციის სტანდარტები, ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობის, სექსუალური შევიწროების, ფემიციდის, ადევნების, იძულებითი ქორწინებისა და სხვა გენდერულად მოტივირებული დანაშაულების სამართლებრივი კვალიფიკაციისა და სამართალშეფარდების საკითხები. კურსი ასევე მოიცავს ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ურთიერთკავშირს, გამოძიების,	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	II

	სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლოში საქმის განხილვის თავისებურებებს, მსხვერპლზე ორიენტირებულ და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას, მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებასა და ძალადობის პრევენციის მექანიზმებს. ეროვნული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკისა და პრაქტიკული შემთხვევების ანალიზის საფუძველზე სტუდენტი განსაზღვრავს შესაბამის სამართლებრივ ნორმებს, აფასებს კომპლექსურ სამართლებრივ პრობლემებს, ახდენს შემთხვევების კვალიფიკაციას და აყალიბებს დასაბუთებულ სამართლებრივ პოზიციას.			
ევროკავშირის სამართლის გავლენა ეროვნულ სამართალზე	სასწავლო კურსი შეისწავლის ევროკავშირის სამართლის გავლენას ეროვნული სამართლის სისტემების განვითარებასა და სამართლებრივი პრაქტიკის ფორმირებაზე. კურსის ფარგლებში განიხილება ევროკავშირის სამართლის მოქმედების ძირითადი პრინციპები, ევროკავშირის სამართლისა და წევრი სახელმწიფოების ეროვნული სამართლის ურთიერთმიმართება, აგრეთვე ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის როლი ეროვნული სამართლებრივი სისტემების განვითარებაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა წევრ სახელმწიფოებსა და ევროკავშირში გაწევრიანების პროცესში მყოფ ქვეყნებს შორის არსებული სამართლებრივი განსხვავებების გააზრებას. ამ კონტექსტში კურსი მოიცავს ევროკავშირის სამართლის პირდაპირი მოქმედების, უპირატესი ძალისა და არაპირდაპირი ეფექტის პრინციპებს, ხოლო კანდიდატი ქვეყნების შემთხვევაში — სამართლებრივი დაახლოების, ჰარმონიზაციისა და ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნებთან ეროვნული სამართლის შესაბამისობაში მოყვანის მექანიზმებს. კურსის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა საქართველოსა და ევროკავშირს შორის სამართლებრივ ურთიერთობებს, ასოცირების შესახებ შეთანხმებას, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებასა და საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სამართალთან დაახლოების პროცესს. ასევე, განიხილება საქართველოს, როგორც ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის, სამართლებრივი ვალდებულებები და ეროვნული სამართლის ტრანსფორმაციის ძირითადი მიმართულებები.	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	I
ინგლისური ენა იურისტებისათვის	სასწავლო კურსი სტუდენტს უვითარებს ინგლისურენოვან სამართლებრივ გარემოში საქმიანობისათვის აუცილებელ ენობრივ და პროფესიულ კომპეტენციებს. კურსი მოიცავს სხვადასხვა სამართლებრივი სისტემისა და პროფესიის, აგრეთვე სამეწარმეო, სახელშეკრულებო, შრომითი, ინტელექტუალური საკუთრების, ადამიანის უფლებათა, სისხლისა და	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	I

	დელიქტური სამართლის, სამოქალაქო სამართალწარმოებისა და დავის გადაწყვეტის სფეროებში გამოყენებულ ძირითად იურიდიულ ტერმინოლოგიასა და ენობრივ კონსტრუქციებს. სტუდენტი ამუშავებს ინგლისურენოვან სამართლებრივ ტექსტებსა და პრაქტიკულ შემთხვევებს, ადგენს მოკლე პროფესიულ ტექსტებს, აყალიბებს სამართლებრივ პოზიციას და წარადგენს მას ზეპირად და წერილობით. კურსი ასევე ხელს უწყობს ინგლისურენოვანი სამართლებრივი ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიების, წყაროების სათანადოდ გამოყენებისა და პროფესიული კომუნიკაციის უნარების განვითარებას.			
საერთაშორისო კერძო სამართალი და საერთაშორისო სამოქალაქო პროცესი	სასწავლო კურსი შეისწავლის საერთაშორისო სამოქალაქო პროცესის ძირითად ინსტიტუტებსა და მათ პრაქტიკულ მნიშვნელობას ტრანსსასაზღვრო კერძოსამართლებრივი დავების განხილვისას. კურსი მოიცავს საერთაშორისო იურისდიქციის განსაზღვრას, იურისდიქციისა და გამოსაყენებელი სამართლის ურთიერთმიმართებას, პარალელურ სამართალწარმოებას, საპროცესო დოკუმენტების საზღვარგარეთ ჩაბარებას, მტკიცებულებათა მოპოვებას, დროებით და უზრუნველყოფის ღონისძიებებს, სამართლებრივ დახმარებასა და ტრანსსასაზღვრო სასამართლო თანამშრომლობას. კურსის ფარგლებში ასევე სისტემურად განიხილება უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების ადგილი საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში, საერთაშორისო იურისდიქციასთან მისი კავშირი და შესაბამისი საერთაშორისო და ევროპული მოდელები. ინგლისურ ენაზე სწავლებისა და სამართლებრივი წყაროების ანალიზის საფუძველზე სტუდენტი განივითარებს ტრანსსასაზღვრო დავებში საპროცესო პრობლემების იდენტიფიცირების, შესაბამისი ნორმებისა და სასამართლო პრაქტიკის მოძიების, შედარებითი შეფასებისა და დასაბუთებული სამართლებრივი პოზიციის ჩამოყალიბების უნარს.	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	II
საერთაშორისო სისხლის სამართალი: თეორია და პრაქტიკა	კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან შემდეგ საკითხებს: საერთაშორისო სისხლის სამართლის მიზნები და ამოცანები; ეროვნულ დონეზე საერთაშორისო დანაშაულების სისხლისსამართლებრივი დევნასთან დაკავშირებული საკითხები, როგორიცაა იურისდიქცია, იმუნიტეტები და სახელმწიფოთა პრაქტიკა; სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) იურისდიქციული, პროცედურული და პრაქტიკული ასპექტები; კრიტიკული პერსპექტივები ძირითად საერთაშორისო დანაშაულებზე, ასევე - სხვა „საერთაშორისო“ დანაშაულებზე (ტერორიზმი, წამება და ეკოციდი); ჰიბრიდული და სპეციალური („გასაერთაშორისოებული“) სასამართლოები და	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	II

	მათი როლი მართლმსაჯულების განხორციელებაში; დაზარალებულის (მსხვერპლის) სტატუსი და ადგილი საერთაშორისო სისხლის სამართალში. ამასთან, კურსის პროგრამა თანაბარ აქცენტს აკეთებს საკითხების არა მარტო თეორიულ გააზრებაზე, არამედ სტუდენტებს ასევე სთავაზობს კრიტიკულ პერსპექტივებს და მრავალფეროვან საერთაშორისო სამართლებრივ პრაქტიკას.			
საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი (თეორია და პრაქტიკა)	სასწავლო კურსი ეხება როგორც საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის თეორიული, ასევე პრაქტიკული ასპექტების გაანალიზებას. იგი მოიცავს საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის თანამედროვე მიდგომებს, „სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ ვენის კონვენციის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებულ საკითხებსა და სხვადასხვა ტიპის ხელშეკრულებათა განმარტების ტენდენციებს. ასევე, იგი ორიენტირებულია საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის ტერმინოლოგიის სიღრმისეულ ანალიზზე. ასევე, განხილული იქნება საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებასთან დაკავშირებული გამოწვევები და ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანის პრაქტიკული მიდგომები.	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	II
პრაქტიკა	სამართლის კლინიკა წარმოადგენს პრაქტიკაზე ორიენტირებულ სასწავლო კომპონენტს, რომელიც სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს რეალურ ან რეალობასთან მაქსიმალურად დაახლოებულ პროფესიულ გარემოში განავითაროს სამართლებრივი ანალიზის, სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტის, სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებისა და პროფესიული კომუნიკაციის უნარები. კლინიკური სწავლება ხორციელდება როგორც კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის კლინიკაში, ისე პარტნიორ საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, სადაც სტუდენტი უშუალოდ ერთვება პროფესიულ საქმიანობაში. სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტი მონაწილეობს სამართლებრივი შემთხვევების ანალიზში, სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებაში, სამართლებრივი ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებაში, სამართლებრივი პოზიციების ჩამოყალიბებასა და პრაქტიკული დავალებების შესრულებაში. კლინიკური სწავლება უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, პროფესიული ეთიკისა და პასუხისმგებლობის პრინციპების გათვალისწინებით საქმიანობის განხორციელებას, დამოუკიდებელი პროფესიული მუშაობის უნარების განვითარებასა და მომავალი იურისტისათვის აუცილებელი პრაქტიკული კომპეტენციების განმტკიცებას.	სავალდებულო	15 ECTS კრედიტი	II
სამართლებრივი ტექსტების პროფესიული დამუშავების პრაქტიკული	სამართლებრივი ტექსტების პროფესიული დამუშავების პრაქტიკული კურსი (პრაქტიკის ალტერნატივა) მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის	სავალდებულო	15 ECTS კრედიტი	II

კურსი (პრაქტიკის ალტერნატივა)	პროფესიული სამართლებრივი საქმიანობისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარების განვითარებას. სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან სხვადასხვა სახის პროფესიული სამართლებრივი დოკუმენტის მომზადების, ანალიზის, შეფასებისა და რედაქტირების მეთოდებს, სამართლებრივი არგუმენტაციისა და იურიდიული წერის თანამედროვე სტანდარტებს, აგრეთვე პროფესიული იურიდიული კომუნიკაციის პრაქტიკულ ასპექტებს.კურსი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კომპლექსური სამართლებრივი პრობლემების ანალიზს, სამართლებრივი წყაროებისა და სასამართლო პრაქტიკის პრაქტიკულ გამოყენებას, სამართლებრივი პოზიციის დასაბუთებას, პროფესიული დოკუმენტების შემუშავებასა და იურიდიული ტექსტების პროფესიულ რედაქტირებას. სწავლების პროცესში გამოიყენება პრაქტიკული დავალებები, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, სამართლებრივი დოკუმენტების მომზადება, პროფესიული დისკუსიები, პრაქტიკული სიმულაციები და პროექტზე დაფუძნებული სწავლება.კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტს შეეძლება სხვადასხვა ტიპის პროფესიული სამართლებრივი დოკუმენტის მომზადება, სასამართლო პრაქტიკისა და სამართლებრივი წყაროების საფუძველზე სამართლებრივი საკითხების ანალიზი, დასაბუთებული სამართლებრივი პოზიციის ჩამოყალიბება და წერილობით თუ ზეპირ ფორმაში პროფესიული იურიდიული კომუნიკაციის ეფექტიანად განხორციელება.			
სასამართლო პრაქტიკისა და საერთაშორისო კომერციული დავებების ანალიზი	სასწავლო კურსი შეისწავლის ეროვნული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის, საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის, მედიაციისა და დავების ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების ანალიზის თეორიულ და პრაქტიკულ საფუძვლებს. კურსის ფარგლებში განიხილება სასამართლო და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების სტრუქტურა, სამართლებრივი მსჯელობისა და ნორმის განმარტების მიდგომები, გადაწყვეტილებების იურიდიული და პრაქტიკული მნიშვნელობა და განსხვავებული სამართლებრივი პოზიციების შედარებითი და კრიტიკული შეფასება. კურსი ორიენტირებულია რელევანტური სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკის შერჩევის, სისტემატიზაციისა და ინტეგრირებული ანალიზის, საერთაშორისო კომერციულ ან საარბიტრაჟო პრაქტიკაზე დაფუძნებული კვლევითი პროექტის/ნაშრომის კონცეფციის მომზადებისა და კომპლექსურ სამართლებრივ პრობლემაზე დასაბუთებული პოზიციის ჩამოყალიბების უნარების განვითარებაზე. კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი შეძლებს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	III

	დამოუკიდებლად გააანალიზოს სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკა და შედეგები წერილობითი და ზეპირი ფორმით წარადგინოს.			
სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა	სამაგისტრო ნაშრომი არის პროგრამის კვლევითი კომპონენტი, რომლის ფარგლებში მაგისტრანტი შესაბამის სამართლებრივ სფეროში დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას და მის შედეგებს ასახავს დასრულებულ აკადემიურ ნაშრომში. კვლევა მოიცავს საკვლევი პრობლემის, მიზნისა და კვლევითი კითხვების ჩამოყალიბებას, შესაბამისი მეთოდოლოგიის შერჩევასა და გამოყენებას, ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი, სამეცნიერო, სასამართლო და სხვა რელევანტური წყაროების კრიტიკულ ანალიზს, აგრეთვე დასაბუთებული დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას. სამაგისტრო ნაშრომი სრულდება აკადემიური კეთილსინდისიერების, პროფესიული ეთიკის, აკადემიური წერისა და უნივერსიტეტში დადგენილი ტექნიკური მოთხოვნების დაცვით. საჯარო დაცვისას მაგისტრანტი პროფესიული და აკადემიური აუდიტორიის წინაშე წარადგენს კვლევის ძირითად დებულებებს, გამოყენებულ მეთოდებს, მიღებულ შედეგებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს, პასუხობს შეკითხვებს და არგუმენტირებულად იცავს საკუთარ პოზიციას. სამაგისტრო ნაშრომის მომზადების, წარდგენის, რეცენზირების, დაცვის, შეფასებისა და გასაჩივრების წესი განისაზღვრება კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სამაგისტრო პროგრამის დებულებით.	სავალდებულო	30 ECTS კრედიტი	IV
აკადემიური წერა და სამართლებრივი კვლევის მეთოდები	სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სამართლის სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებისთვის აკადემიური და სამართლებრივი წერის, სამართლებრივ და აკადემიურ წყაროებთან მუშაობისა და სამართლებრივი არგუმენტაციისათვის აუცილებელი ცოდნისა და პრაქტიკული უნარების განვითარებას. კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან აკადემიური და სამართლებრივი წერის ძირითად პრინციპებს, სამართლებრივი აკადემიური ტექსტის სპეციფიკასა და სტრუქტურას, აგრეთვე სამართლებრივი არგუმენტებისა და დასკვნების წერილობით ჩამოყალიბების წესებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ეროვნული, საერთაშორისო და უცხოური სამართლებრივი და აკადემიური წყაროების მოძიებას, შეფასებას, სისტემატიზაციასა და აკადემიურ ტექსტში მიზნობრივად გამოყენებას. კურსი ასევე მოიცავს სამართლებრივი ნაშრომის დაგეგმვის, სტრუქტურირების, მომზადების, რედაქტირებისა და ტექნიკური გაფორმების საკითხებს, წყაროების დამოწმებისა და ციტირების წესებს, სამართლებრივი წერის სტილსა და აკადემიურ ენას. სტუდენტები გაეცნობიან აკადემიური	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	IV

	კეთილსინდისიერების, პროფესიული ეთიკისა და ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლიანი გამოყენების ძირითად სტანდარტებს. თეორიული და პრაქტიკული სასწავლო აქტივობების ერთობლიობა სტუდენტს შესაძლებლობას მისცემს, აკადემიური სტანდარტების დაცვით დამოუკიდებლად მოამზადოს სტრუქტურირებული, არგუმენტირებული და ორიგინალური სამართლებრივი ტექსტი და წერილობითი და ზეპირი ფორმით წარადგინოს სამართლებრივი პოზიცია, ძირითადი არგუმენტები და დასკვნები.			
სამართლებრივი კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგიური ანალიზი	სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტს მისცეს სამართლებრივი კვლევის დიზაინის, კვლევის დაგეგმვისა და მეთოდოლოგიური ანალიზის ცოდნა და განუვითაროს სამართლებრივი კვლევის დიზაინის შემუშავებისა და მეთოდოლოგიური შეფასების უნარები. კურსის ფარგლებში განიხილება სამართლებრივი კვლევის დიზაინის ძირითადი ტიპები, დოქტრინალური, შედარებითსამართლებრივი, ემპირიული და ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდოლოგიური თავისებურებები, კვლევის სტრატეგიები, კვლევის სანდოობისა და ვალიდურობის საკითხები, აგრეთვე სამართლებრივი კვლევის პროცესში გამოყენებული მეთოდოლოგიური მიდგომების შეფასებისა და დასაბუთების პრინციპები. კურსი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სამართლებრივი კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლების კრიტიკულ გააზრებას, კვლევის დიზაინის ლოგიკურ და თანმიმდევრულ ფორმირებას, კვლევის მეთოდოლოგიური შეზღუდვების იდენტიფიცირებასა და სამართლებრივი კვლევის ხარისხის შეფასების კრიტერიუმებს. კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი შეძლებს სამართლებრივი კვლევის დიზაინის დამოუკიდებლად ფორმირებას, შესაბამისი მეთოდოლოგიური მიდგომების შერჩევასა და დასაბუთებას, ასევე სამართლებრივი კვლევის მეთოდოლოგიური ხარისხისა და კვლევის დიზაინის კრიტიკულ შეფასებას.	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	III
ინტერდისციპლინარული კვლევითი ნაშრომი	სასწავლო კურსი ორიენტირებულია ინტერდისციპლინური სამართლებრივი კვლევის პრაქტიკულ განხორციელებაზე და უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ დამოუკიდებელი კვლევითი პროექტის ეტაპობრივ განვითარებას. კურსი ეფუძნება კვლევითი სამუშაო შეხვედრებისა და აკადემიური განხილვის მოდელს და მიმართულია კომპლექსური სამართლებრივი პრობლემების ინტერდისციპლინური ანალიზის, სამართლებრივი და არასამართლებრივი წყაროების ინტეგრირებული გამოყენებისა და კვლევითი შედეგების აკადემიური სტანდარტების შესაბამისად წარმოდგენისკენ. კურსის ფარგლებში	სავალდებულო	15 ECTS კრედიტი	III

	სტუდენტები ეტაპობრივად ავითარებენ დამოუკიდებელ კვლევით პროექტს, ამზადებენ კვლევითი ნაშრომის ნაწილობრივ სამუშაო ვერსიას, მონაწილეობენ აკადემიურ განხილვებსა და პრეზენტაციებში და ამზადებენ საბოლოო ინტერდისციპლინურ კვლევით ნაშრომს.			